



# გ ე რ ა ტ რ



საქოველ-კურარ ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

4 მაისი

ვაკონიცა

№ 18

კვირა 80 თ

1886 წელს.

ფასი „ოქატრი“—სა წლით ხუთი, ნახევრ წლით სიმი (5) მანეთი, სახევრ წლით სიმი (3) მანეთი, სხვა გადით ხელის მოწერა არ მიაღება. ცლებე ნომერი „თეატრი“. სა დირს საში შეური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“—ს რედაქციაში და ქუთაისში მდ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთავას აღრეს: თიფლის. ვნ რედაქციი „Teatrъ“.

სამუშაოს, 6 მაისს, არწივის ეულ  
თეატრში.

დრამატიული ხაზოგადოება

დღესაცაულობს მეორმოც-და-ათ წე-  
ლიწადს გოგოლის კომედიის რეპიზორის  
პირველად სცენაზე დადგმას.

წარმოდგენილი იქნება

2 და 3 მოქმედება

## რეპიზორი

შემდეგ წარმოსთხვამენ სიტყვას ამ დღის-  
თვის დაწირილს და წაიკითხავენ დამსებს

დასასრულ

ა 3 თ ფ ვ თ ს ი

მონაწილეობას მიიღებენ თავი. აკაკი  
წერეთელი, დ. ერისთავი ვ. თუმანიძევი-  
ლი და ქართული დრამატიული დასის  
არტისტები.

დასაწყისი 8 1/2, საათზე

სათავად-აზნაურო ბანების გამო.

საერო ყანაში ორი კაცი ჩემუბობდა. მოგროვდა სოფელი და შემოერტყა გარს. „მიშველეთო!—იყვი-  
რა პირველმა მოჩეუბარმა.—„მე თქვენი ერთგული  
ვარ, მინდა ამ სასოფლო, საერთო ყანაში, პური და-  
გითხოვთ, გემსახუროთ, თქვენთვის ვიმუშავო და ეს  
კაცი კი გადამკიდებია, ხელს მიშლის და აღარ მანე-  
ბებსო!“ „სტუკისო?—სთქვა მეორემ.—ეს თუ ერთ-  
გულია საზოგადო საქმის, არც მე გახლავართ ირ-  
გულიო; ხელს მიტომ ვუშლი, რომ ვხედავ ამ სა-  
თესლები ეკლის მარცვლებიც ურევიან და მე ვთხოვ  
მხოლოდ, რომ გაირჩეს და მარტო ხორბალი დაითე-  
სოსო. —პირველი ჰუარავდა ეკალს, მეორე ამჟღავ-  
ნებდა. გაცხარდა ბრძოლა. გაუჩნდენ ქომაგები ერთ-  
საცა და მეორესცა. —პირველს მომხრეები მეტი ჰყავ-  
და. სუკრეს კბილის კრიჭა მეორეს, აღარა ათქმევიეს-  
რა, და არა გაუგონეს რა, გამოიადეს შერისსული.  
—დარჩა პირველი მის ნებად. —მიანი-მოაპნია ხნულ-  
ში სათესლე გაურჩევლად. დადგა თეოთონ თავ-შევ-  
ლედ, მიიპატიე სხვა მეევლებიც, სულ თავისიანები  
და გასწი-გამოსწია გუთანს. —მოატანა მოსავლის  
დრომ, შეკრიბა სოფელ, მაგრამ რომ ჰუარავდა მის-  
თანა ბარაქა ვეღარ იხილა. მეევლებმა უამიღობას  
დაბრალეს და ითხოვეს: «რადგანაც სარგებელი წელს  
ბევრი არა არისრა, ჩვენ ჯამაგირები დაგვლებთო!»  
მოტყუებულმა ერმა მადლი უძღვნა. —გამოვიდა ისევ

ის პირველ რომ წინააღმდეგობრა ეკლის დათესვაზე,  
და სოქვა: «ბატონებო ეს სულ თვალო მაქცობაა! —  
ჯამაგირის მომატებით არა წახდება რა და მოკლები-  
თაც არა გაკეთდება რა! — აქ სულ სხვა გვარი მოქ-  
მედებაა საჭირო: უნდა ამ თავითვე, სანამ ძირს გაი-  
მაგრებდეს ეკალი, მარგვლას მია-ჟოთ ხელიო». — აქაც  
კიდევ პირველის მომხრეებმა კიტინა დასცეს — საზოგა-  
დო საქმე საპირადოზე გადაიტანეს. ყოველ წლო-  
ბით ეს ამბავი იყო. ეკალი ფესვებს იდგამდა და მრავლ-  
დებოდა, შეველები კი ოდოშს მიირთმევდნ ხოლო  
და სხვისი ჯავრი კი არა ჰქონდათ რა. — ბოლოს,  
როდესაც ეკალმა თავი იჩინა და ეჩხელიტა ზოგიერ-  
თებს, მამინ კი შეხტენ და დაიყირეს: „არ გვინდა  
ეს ყანა! ლამის ჩევნვე დაგვაწყლულოსო!“ მაგრამ,  
ბატონები, ყანის რა ბრალია, რომ თქვენ მოვლა  
არ შეგეძლოსთ და მოხმარება?.. აი სარკე ჩევნის სა-  
თავადა-აზნაურო ბანკის და ვისაც გული მართალი  
აქვს და სინიდისი არას ამხილებს, მივიდეს და ჩაიხ-  
დოს თამამად. ჩევ აქ მეტს აღარას ვიტყვიოთ, — და  
მხოლოდ მიემართავთ ბანკის გამგეობას შემდეგის  
კითხვით: რა მიზეზია, რომ ის მამულები; რომელიც  
თბილისში დარჩა ბანკს დიდ-ზარალს აძლევენ? ვის  
მიულია დაგირავების დროს იმდენი ფული, რომ დღეს  
მის მეხუთედსაც აღარავინ იძლევინება და ბანკი დიდ  
ზარალში ვარდება? — როგორ მოხდა, რომ მირჩოე-  
ვის მამული, გირაობის შემდეგ ათას ოთხასი კვად-  
რატული საფერი გამოდგა და არა ხუთი ათასი, რო-  
გორც ვიყავით დარწმუნებული? და სხვანი.

რ.

## გ რ დ ე ბ ა

ბანკო! წეულო დვოისაგან,  
რა მოგვივლინე ესაო?  
სიმდიდრეს შენგან კელოდით,  
მამულებს გვარომევ დღესაო!

რა ჩენმა ცოდვამ გგაცდენა,  
რომ მოგიგონეთ შენაო,  
თუ კი ამ ცეცხლში ჩაგვერიდა,  
სედს ამოგბეჭდიდი ჩენაო.

მამა ბანკებს საუჯვეს,  
ხელიდმ გვაცდი წვრილადო,  
აღარ ჭირხულაბ თუ რა კქნათ,  
ჩენ დარჩენილია მწირადო.

ან გადის შენთან მუდანა,  
რომ დაგვაცადო ცოტაო;  
ხელიდმ გვარომევ ლუგმა შენს,  
ჩენ ბედს ერთ წუთზე სწუმეტავო.

დამბხოს შენი მრჩეველი,  
შენ, ჩენ აგვიგარ ბარგიო,  
მტერთ საჭიცხელად გაგვსადე —  
ნერთა რა გგოუგ აგია!..

ქაისხისრო გელოგანი.

## პ ა ს უ ხ ი

აკი გითხარ დედამილო,  
ნე გამგზავნი წისევილშია:  
იქ ბიჭები დამხვდებიან,  
ჩამაგდებენ სირცხვილშია.

ხალხური.

აკი გითხესთ ბატონებო,  
იმ თავითგე: „ფრთხილადალ!..  
საზოგადო საქმე ნე გჩნისთ,  
ჩადად, ბზედ და თხილადალ!..

გინც გიოჩეგდენ შირველადგე  
საქმის კარგად გაეგესასა,  
თქვენ იმათ არ უშიორებდით  
ხანჯლის წვერზე აკებასა?

სიტყვაც თქვენ არ აუგობდეთ,  
და დექით გელურ — ძალსა;  
სიცოუსა მხარს აძლევდით,  
სიმართლეს კი სისრიდით თვალსა?

მუშტო-კრივი, დანძლეა-თოება,  
და უაზრო ფრაგის სევა  
სხეს რა ბოლოს მოიტანდა?  
გვიანდაა ბედს წევა.

და ჩენც ასე მოგახსენებთ:  
„რაც მოგივა დავითაო!  
— ნურავის ნე დაბრალებ —  
აჟელა შენის თავითაო!!!

აკადემი.

## ახალი აგგები

◆ დღეს აჩწრუნისეულს სახლში დანიშნულია საერთო კრება სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს და დამტკიცოს რეა საგანი.

◆ ამ მოკლე ხანში, მბილისში და სხვა მხარეებიაც, პურის ფასმა ცოტა აიწია. ამას თუ რამ ვაკრული მიზეზები აქვს და არა მოუსაველობისა, მაშინ ეს ყველასთვის საერთობელი და საყურადღებო უნდა იყოს.

◆ ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ერთი პატარა ქართული წიგნი, საყმაწვილო მოთხრობა «ქედ ბეჭანი», თხზ. ეკ. ასათიანისა. ფასი 5 კაპ. მოთხრობაში აწერილია ერთი გლეხი კაცის შეილის თავ-გადასავალი, თუ ამ გლეხი კაცის პატარა შეილმა როგორის სიღარაუით და წვალებით მიიღო სწავლა და როგორ გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე.

◆ ჩვენი გაზეთის მკითხველთ ეხსომებათ, რომ შარშან თბილისში ცალკე წიგნათ გამოვიდა პატარა სახალხო წიგნი «მექას ამავი» თარგმნილი გ. შარაშიძისა. შევიტყვეთ რომ ეს წიგნი ეხლა მეორეთ იძექდებათ. მთარგმნელს, ქუთასის სკოლების უფროსი დაჰპირებია, რომ სკოლებისთვის მივიღებო.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთი ახალგაზღადა ქართველ ყმაწვილ კაცს შეკიროსის თხუჭულების «მილ მეტრამეტრ საუკუნის» თარგმნა დაუწყია.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკაზის არხეოლოგიური ჩარების მინდობილობით ბ. დ. ბაქრაძე აფხაზეთში მიემგზავრებაო, ახალად აღმოჩენილს ტაძრის დასათვარიელებლად, გასაცნობათ და ასაწერათაო.

## ლიტერატური კოლექტი.

ლირიკული პოეზია განიორთება რამოდენიმე ნაწილად: ელევია, ოდა, ჰიმნი, სატირა, ეპიგრამმი, ანტოლოგია, სონეტი, ხალხური ლექსები და სხვა, მხოლო ზედასახელებულნი კი უმთავრესნი არიან; არა მცირედი ადგილი ეჭირათ წასრულს კაცობრიობის ისტორიაში და ეხლაც ფრიად საჭირო მოთხოვნილებას შეადგენს აღამიანისათვის. მხლა მოკლედ თვალი გადავაკლოდ ყველას თეოთულად, აქსნად

ისტორიული მნიშვნელობა და მოაწყობებული გვარი ლექსების დაბადებისა.

«მლევია» ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მწუხარებას, ქმუნვარებას, ესე გვი, ლირიკული თხზულება მწუხარის შინაახსით; ელევიას ძველ დროში უფრო ღილი და ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. იმინიციელებს გვისი ელევიათ გარდაექცათ და ეპიკური პოეზია დაიბადა იმ დროს, როდესაც საბერძნების სახელმწიფონი უსუსურს ყმაწვილს წაგავდენ და ჯერ ნამდევილი პოლიტიკური სიკოცხლე არა ჰქონდათ; მხოლო როდესაც გონებით განვითარდენ, ცივილიზაციამ ფესვების გადგმა დაიწყო, მაშინ ყურადღება მიაქციეს შინაგანს სიკოცხლეს და პოეზიაც მციდროთ შეუკავშირდა პოლიტიკურს სიკოცხლეს. განთავისუფლებული სახელმწიფოები ორს გარემოებას ებრძოლებოდნენ: შინაგანს და გარეგანს, ამიტომ, პოეზიამაც ორ ნაირი მნიშვნელობა მიიღო: პირველი ეხებოდა მეორართ, სულის გასამხნევებელად, რომელნიც ხმალ გაწვდილნი იყვალდნ თავიანთ. მამულს და მეორე კეთილ-მოქმედების გასავრცელებელად და მაცუდურებილგან დაფარებას. ამ ნაირად ძველი დროის ელევია განაწილდა: «გმირულს ელევიათ» და «დიდაკტიკურათ».

პირველი „გმირული ელევიის“ დამწერი კალლინოსი იყო, ეფესილგან; ისა სცხოვრობდა შევიდას წელს ქრისტეს დაბადებამდის, იმ დროს, როდესაც მცირე აზიელ ბერძნებს თავზარსა სცემდნ ლივილი ლი მეფეები. იმის სიმღერებში იხატება გმირობა და სამშობლოს გულ-მხურვალე სიყვარული. მრთს თავის სიმღერაში, რომელმაც ჩვენ დრომდის მოახწია, თვის თანამემამულე ახალგაზღადობას ემღურება.

„შაბაშ! იმისთანა კაცს, რომელიც სამშობლოსთვის იბრძების; თუ მაირამებმა (ღმერთებმა) გაგწირეს სასიკეთოლოთ, რაც უნდა მოერიდო, მაინც სიკედილს ვერ გაექცევი,—რაზღონი გაიქცა სასიკედილო ბრძოლის მოედნიდგან, მაგრამ სახლშიაც შეეპარა სიკედილი და ამოხადა მოკლე სული. მხთალი კაცი არავის ებრალება და არცა არავინ ყურადღებას აქცევს, მაგრამ გმირს და გამბედავს კაცზედ კი მთელი ხალხი სწუხს; ცხოვრებაში იმას ნახევარ ღმერთად ხდიან, რადგანაც მაშია ხედავენ თავიანთ პატიოსან, მამაც მფარველს“.

გმირული სიმღერების წერაში ტირტეიმ გაითქო სახელი. ზაღმოცემით ვიცით, რომ როდესაც სპარტელებმა მესენეცებთან ომი დაპირეს, ექვსას ოთხმოც წელს ქრისტეს დაბადებამდის, «არაკულს» დაეკითხენ და შემდეგი პასუხი მიიღეს: მხოლოდ მაშინ დაამარტებთ ოქვენს მცერს, როდესაც წინამდლოლს

პთინიდგან მოიყვანთო. პთინელებმაც ტირტეი გამოუზარენს და სპარტელებმა დაამარცხეს. ტირტეიმ ბევრი ელეგიები დაურჩინა სპარტელებს, თუმცა ისინი კი სრულიად უურადლებას არ აქცევდენ სიმღერებს; მაგრამ მანც ისეთი შთაბეჭდილება იქმნია იმის ელეგიებმა, რომ კანონი გამოსცეს: ომის დაწუბის დროს ჯარი უნდა შეკრებილიყო მეფის დარბაზის წინ, მოესმინათ ტირტეის სიმღერები, რადგანაც იმათი სმერა მხედარს ამხელებდა, მექსიერებას უმატებდა და აძლიერებდა. მეორე გარდმოცემა ვვაცნობებს, რომ ტირტეი ვითომ კოჭლი იყოფო და ერთს ათინის სკოლაში მასწავლებლად ყაფილა და სამასხააოთ სპარტელებს გაუზარენსო. საომარს სიმღერებში შემდეგის სიტყვებითა მართავს სპარტელებს:

«მარტენა ხელში დაიჭირეთ ფარი და მარჯვენაში შუბი, სიკვდილისა ნუ მეგებინდებათ, რადგანაც ეგ სპარტელებს არ შეშვენით».

საგმირო ელეგიებიდგან ჩვენ მხოლოდ სამი ვიცით, რომელიც შემდეგის სიტყვებით მართავს: „მშვენიერებაა, ომის დროს, პირველს რიგში დგომა და სამშობლოს მოსისხლე მტრების სრემა,—დიდი უბედურობაა სამშობლოს თავის დანებება და ბრძოლის მოედნიდგან გაქცევა; რა კაცობაა, ხელ-გაშვერილი, მოწყალეობის თხოვნა ძეირფასის მოხუცის მშობლებით, უსუსურის ბავშვებით და ახალ-გაზდა ცოლით. სადაც მივა ყელგან დაკეტილია იმისათვის კარები; ამიტომაც უკეთესია ბრძოლა სამშობლოსათვის, მოკვედეს თავის შვეილებისათვის და სიცოცხლე არ დაიშუროს. ამიტომ მხერე უნდა იბრძოლონ ჭაბუკებმა ბრძოლის მოედანზედ და მოხუცებულები, რომლებსაც გაქცევა არ შეუძლიანთ არ უნდა დასტოეონ. დიდი სირტევილია ჭაბუკებისათვის, თუ პირველ რიგში, მტრისაგან დატანჯულს მოხუცს იპოვიან. მამაცნი ჭაბუკი ცოლებს უყვარან და მთელი ხალხი ჰატიესა სცემს, თუ პირველს რიგში დაანთხევს სისხლს».

მესამე ელეგიაში შემდეგ აზრსა მარტავს: «გამბედაობა პირველი ლირსებაა კაცისა და ჭაბუკის დამამშვენებელია. მამაცნის გამარჯვებას სარგებლობა მოაქვს მთელის ქალაქის და ხალხისათვის და თუ დაკოდილი ბრძოლის მოედანზედ ეცემა, მაშინ მოხუცნი, ჭაბუკი იმას მგლოვობენ და თუმცა ხორცი კვდება, მაგრამ სახელი კი შეიღწევად გადადის და საუკუნოთა რჩება. მხოლო თუ სიკვდილს გადარჩა, მაშინ ყველანი პატიესა სცემნ და ჯოჯოხეთიდგანაც განთავისუფლებულია. აი, ომის დროს ყველანი ასე უნდა ფიქრობდეთ და მოქმედებდეთ».

მესამე მწერალი ამ გვარი ელეგიებისა სალონი იყო. მეგარიელებმა კუნძული სალამინი დაიჭირეს,

რომელიც ათინელებს ეკუთვნოდათ; ყუდილები წყვეტილი დეს, მაგრამ ამაოთ ჩაუარათ და გარდასწყვიტეს, რომ ვინც იმ კუნძულის გამოხსნას განიძრახავდა, დაუყოვნებლივ ჩამოახრიობდნენ. სალონმა თავი მოიგიჟ-მაჟა და მოედანზედ ელეგია წაიკითხა, რომელშიაც ათინელების მშიშარობას დასცინოდა: «მე ის მერჩინენა სამშობლო გამეცვალა, ფოლეგანდრიცი გამხდარვიყვა ანუ სიკინიტი, ვიღრე ათინის მოქალაქე, რადგანაც მე მარტენენს ამ ვარი გარემოება. აღექით, წავიდეთ და ავიღოთ საყვარელი კუნძული, ნუ გეშინიანთ, იქონიეთ სიმბევვე, მამაცობა და გამარჯვება ჩვენსკენ იქნება». შემდეგ კუნძული სალამინი ისევ ათინელებმა დაისაკუთრეს.

#### ი. ქავთელი.

(შემდეგი იქნება)



\* \* \*

ამაზო, შენი ტკბილი ხმა,  
მდაგავს როს მესმის უურითა,  
და მუდამ მათოროს ეშითა—  
კით დკინით ატენურითა.

გაბრუნდი. კოწვი! მაგმარე,  
ამარიდევი შირია,  
რომ შენის ეშით არ დამრთო  
ცეცხლზედ უშერეტი ჭირია.

დე, კოცოცხლი უბედომ,  
კიარი ჰეკინის შირდა,  
გსენევლიდე ჩემს შავ-ბედსა,  
მენ გიგონებდე ხშირადა.

და ან რად მინდა სიცოცხლე  
მუდამ ჟამს დასაღონები;  
გუნდოდ ობლად დადგივარ,  
ახლოს გერ მოგეპარები.

გაა! გამეცა, ნუ მტანჭავ,  
მარიდე გიშრის თვალები,  
მიწამ მშვა, მიწამ გამზარდა,  
მიწასკე მივჰარები.

თვატრის მუშა.

### მერილი სოლ. საგარეჯოდგან.

სპარსული ანდაზაა—თურმე ერთს მეფეს ჩეეულებად ჰქონდა ჩილუამდა უბრალო კაცის ტანისა-მოსს და ისე დაიარებოდა სოფლიდგან სოფლამდე, ქალაქიდგან ქალაქამდე და ასე ამ რიგად თავის თვალით ტყობილობდა ქვეშეეროვნობა ავარება. გზათ ერთხელ ერთს ხარაზის ღუქანში შეუხეია. აქ მიხდა მოხდა ლაპარაკი ამ მთისა, იმ ბრისა და ბოლოს ჯერი მიღვა მეფის გამგებლობაზედ. ხარაზმა თავის მსჯელობა ნატერით გაათავა: «ნეტა ერთი სამი დღით კი მამუნ მეფობა და მე ვიცოდი რასაც ვიზამდიო». მს მეფეს გულში ჩარჩა. შინ რომ დაბრუნდა გადასწუყიტა: მოდი ამ ხარაზს სურეილს აუსრულებ, ვანხოთ რას იზამსო. რაღა თავი მოგაწყინოთ, ეს ხარაზი გახდა მეფედ, მთელის სამეფოს შბრძნებლად. ახალმა მეფემ, არც აცია, არც აცხელა, ისარგებლა შემთხვევით, შეაბოჭინა ნამდეილი ხელმწიფე და ბოლოს კიდევ ჩამოახრჩო. დარჩა თითონ ბურთი და მოედანი. ამ ანდაზის აზრს მაღლ მკითხველი თითონ მიჰვდება.

რამდენადაც გვაგონებს ისტორია და ცხოვრება თვით უნიჭიერესი კაცებიც კი სცხოვრებენ დრომდინ ისე, როგორც ყველა ცოდეილი და იქნება სრულიადაც უნაყოფულ ჩაევლო მათს ტალანტს, თუ არ ამოვეარდნოდა ზურგის ქარი ე. ი. გარემოებას ხელი არ შეეწყო და ღვიძლი შეილიერი გულში არ ჩაეკრა იგი. ასე ამ რიგად ზოგია დიაკვანიც კი ისტორიის ფურცელზედ მოექცა (დრამა «სამშობლო» დ. მრისთავისა). ცნობილია, რომ რაც უნდა დიდი ენერგიის პატრონი იყოს მისიონერი, გინდ უუდიდესი ორატორი, უბრძნები და უგულკეთილები კაცი, მაინც მისი შრომა, მისი გოდება წყლის ნაყვა იქნება ზოგიერთა ველურ ხალხთა შორის. როგორ ჰყიქ-რობთ, მკითხველო, ასეთი ძალუმი მისიონერი გასამტყუნარია იმ გეარს გარემოებაში, რომელიც მე უკანასკნელად მოგახსენეთ, რომ მის შრომას ნაყოფი ვერ მოჰყევა? ჩემის აზრით მისი ქადაგება სახარებისა, ჰყებანიური აზრების გავრცელება გოტენტოტებთა,

ცეცხლის ქვეყნის მცხოვრებლებთა და წილურებულების თეატრების შეყრასა ჰგაეს. უკანასკნელს შემთხვევებში შენ თავზედ მაინც არ გეფიქრება. არ მიეკრა, ხომ ჩამოცვივა, ჯანაბას იმის თავი. მაგრამ იქ კი სულ სხვა გახლავთ, ბატონებო!

დასავლეთ მერიაში ლიუტერიმა წამოაყრანტა-ლა, თუ არა რომის პაპის წინააღმდეგ ერთი სიტუ-ვა წამსვე ათასმა და ათი ათასმა ხმა მისცეს. ისიც ყველამ იცის, რომ ლიუტერიც რომ არა ყოფილიყო, მისს ალაგს სხვა დაიჭერდა იმ ხანებში. თორემ განა ან კი არ ეჭირათ უკეთესი ალაგი ამ მიადაგზედ სხვებს! მაგრამ თავის დღეში სულ ასეა: ლუი ბლანი მოკვდა და პატივი მიიღო, მაგრამ ყველასაგან კი არა, მხოლოდ აღმოჩეულებისაგან; მოკვედა გამშეტა და მთელი ქვეყანა შეიძრა. რა ვქნათ წუთის სოფე-ლი ასეთია და მოდი რას იზამ!

შორი შორს კია, ბატონებო, ნათქვამი, მაგ-რამ არც ისე შორს არის, როგორც პირველს შემთხვევაში ჰქონდა ადამიანს. მართალია სად ლუი ბლანი, გამშეტა, ლიუტერი, უნიჭიერესი კაცი, ისტორიის გმირი და სად ალ. ცხვედაძე, რომელზედაც მე მსურს მოკველაპარაკო მკითხველს.—ბეკრი ჩეენ ქართველებს, მეტადრე რომლებიც პირადად მას ვერ იცნობდნენ და მხოლოდ აწ განსვენებულის „დროების“ ფურ-ცელზედ კითხულობდნენ მის სახელსა და გვარს, რა-ლაც უდიდებულეს კაცად მიაჩნდათ ეს ადამიანი. მას-ში იგინი ჰქედავდნენ განხორციელებულს ქართველს შულცეს, ბასტიას, თ. ვასილჩიკოვს და სხვებს მათ მზგავსთ. მრთის მხრივ ან კი როგორ არ უნდა ეფიქ-ნათ; თითქმის არც ერთი ნომერი არ გამოსულა, იმ ხანებში «დროების», რომ სხვედაძის ქება-დიდება არა წერებულიყო. განსვენებული ს. მესხი თავ გა-მოდებული იყო ამ კაცისთვის იქამდის, რომ მასზედ სიუღუ-კაცობის თქმა არავის შეეძლო იმავე გაზეოში. ერთის სიტყვით რაღაც უცოდველი გამოდიოდა. თითქმის უკანასკნელი «დროების» რედაქტორი ბ. მაჩაბელიც კი იმავე გზას დაადგა. მე ნამდვილის წე-როებიდნან მაქს შეტყობილი, რომ რამდენიმე აქაუ-რი კორესპონდენცია კორესპონდენციონურთ პანლუ-რით გამოუტილებიათ რედაქციიდენ. აი ესეც თქვენ-განვე სანატორელი სიტყვის თავისუფლება, ბატონო! მაგრამ მე ამ გვარს საქციელს ორივე რედაქტორები-სას უფრო სხვა ნაირად ვხსნი. ამას შემდეგ მო-გახსენებთ.

პირველად რომ განსვენებული ბესარიონ ლო-ლობერიძე დაინიშნა საერთო სკოლების დერეკტორად და მის თაოსნობით გაიმართა ალაგ-ალაგ სასოფლო სკოლები, იცით რა დრო იყო? მთელი ქართველი

საზოგადოება აღტაცებით ეგებებოდა ამ პატიოსანს მშრომელს და მასთან მასწავლებლებს, რომლებიც სრულიად ამართლებდნენ საზოგადოების იმედს და აძლევდნენ მხარს თავიანთ წინამძლოლს. რამდენმა პატიოსანმა ყმაწევილმა კაცმა გამოიდო თავი და არ მიმძედავი თავის მომავალის პრესკეტივისა, ენერგიულად და თავ-გამეტებით შეუდგა თავის საყვარელს საქმეს. დაუღალავად ებრძოდა ხალხის ცრუ-მორწმუნეობას, მის გაუნათლებლობას, მის მცარცვა-მგლეჯავთ და მუდმი ამ გვარს ტანჯეა-შრომაში, პირ იქით, იგი ჰოვებდა უუდიდეს ზნეობრიეს ქმაყოფილებას. როგორც ყოველგან და ყოველთვის თან მიჰყეა ერთ ასპარეზედ მუშავ ხალხის სრული სიყვარული და ნდობა. საერთო საყვარელი საგანი აერთებდათ მათ, აეიწყებდათ ყოველივე ვიწრო თავ-მოყვარეობას, კაცობრიულს ჩვეულებრიეს სისუსტეს. ახალი დაწყობა, ერთმანეთის პირველი გაცნობა, პირველად ცხოვრებაში გამოსულ ჯერ ისევ გაურყენელ და გულით სპეტაკთა, თანამედროვე აზრის ზედ გავლენა და დასასრულ სრული თაესიუფლება პედაგოგიურს სისტემებში, ყველა ესეები სრულიად საქმარისი იყო, რომ საქმე რიგიანად წასულიყო.

აი სწორედ ამ ღროს გაჩნდა ბ. პლ. ცხვედა-ეც სოფელ საგარეჯოში. დაადგინა, თუ არა გოვო-ბერიძემ სკოლის განაჩენი, თან დააწესა იქრის გამ-სესხებელ შემნახველი ამხანაგობაც. და რადგან იმ დროინდელი მასწავლებლები უფრო მეტს ყურადღებას აქცევდნენ ხალხის მატერიალურს გაუკეთესებდას, ეს ახალი სოფლის სტუმრები განუწყვეტლივ გაიძანოდნენ სამხანაგო ბანკები, საამხანაგო დუქანზედ და სხვ. და სხვ. პირველად, რასაკურეველია, ბანკი ბ. ცხვედა-ეც ჩაპარდა. აბა სხვამ ვინ რა იცოდა ამისი. მაშასადამე ყველა მეზობელს მასწავლებელს ამ ხეობისას სოფ. საგარეჯოსაკენ, ანუ უკეთ ვთქოთ ცხვე-დაძისაკენ უნდა მიეკადებინათ ბანკის საამხანაგო პირნი. როგორც ზევითაც ვსთქვი, სხვა საზოგადოებას-თან ერთად, აქაურ თავად-აზნაურთ, მღვდელ, ერს თვალი ეჭირა ახალი აზრების დენაზედ და ძრიელ ემარებოდნენ ჯერ საზოგადოდ მასწავლებლებს ხალხის გულის მოგებაზედ და მერე განსაკუთრებით ბ. ცხვედა-ეც.

რასაკუირველია ეს უკანასკნელი ყველაფერში პირველად ხალხს თითონ აჩვენებდნენ მაგალითს, ოც თუმნობით და ზოგჯერ ასობითაც შექმნდათ ბანკ-ში ფული, და მით ხელს უმართავდნენ საერთო და-წესებულებას. მრთის სიტყვით ბ. ცხვედა-ეც და სოფ. საგარეჯო შეიქნა ერთსა და იგივე ღროს ცენტრი, შეუ გული ადგილი. სხვა მასწავლებელს მარტო თავისი

სოფელი იწნობდა, ამას კი ყველანი. ტსჭმლა-ტაჭუ- არა ცხვედაძის კაცობა, თქვენც მოჰვდებით.

მაგრამ ჩვენ ისე ცხვედა-ეც არ მიგვაჩნდა, რო-გორც დედა აზრი. დედა აზრს ვანაცვალებდით უვე-ლაფერს. მე ისე ვფიქრობ, რომ რედაქციაც ამ აზ-რით ხელმძღვანელობდა. ბანკს შემდეგ მოჰვეა საამ-ხანაგო დუქანი. ათი სიტყვის მეტი კი არ დასკირებია ცხვედაძეს საზოგადო ყრილობაზედ. შეელამ ერთ ხმათ გადასწყვიტა შესდებულების შეღენას. რათა, როგორ მოხდა ასე უმალ? მიტომ, ჩემო ბა-ტონებო, რომ ყველანი ნატრობდენ საერთო დუქანს და არა მარტო ცხვედა-ეც. და ახაუ აქაურმა მოწინა-ვე პირთ ხელი შეუწყეს, სხვებიც აჲყენენ ფეხის ხმას. თორემ დამერწმუნეთ, ამ ბატონმა ჯერაც არ იცის ვინ იყო შულცე, ან ბასტია. ან ის კი განა საეჭვოა, რომ თ. ვასილჩიკოვის თხეზულებებში ერთიც არ აქეს წაკითხული. მრთის სიტყვით ეს კაცი აჲყეა ფე-ხის ხმას, იმ ხმას, რომელიც ამათთანა უბალრუკებმა პირველად მხოლოდ „დროების“ და „იერიის“ ფურ-ცელზედ შეიტყეს ვანო. როსტომაშეილის მოწყალეე-ბით. მისს სისუსტეს იმ ღროს ბევრნი სხვანიც ატ-ყობდნენ, მაგრამ პატიობდნენ, რადგან ყველამ ძრიელ კარგად იცოდა, რომ იმ გვარს ამხანაგობაებს ისე დიდი ჭიუა არა სჭირდებოდა, როგორც პატიოსნება და მხნედ საქმის მოპყრობა. მეორეც საგარეჯოში მხოლოდ ეს ერთი იყო მასწავლებელი, ამ საქმის-თვის მოულილი და ღვთის წინაშე ამასაც იმედი არ გაუცრუებია. მაგრამ ამ გავიდა ხანი, ღრო და გარე-მოება რა გრძნობად შეიცვალა.

თანამშრომელნი და თანამოძმენი ასპარეზით რიგი ვერ შევთვისა ახალ წყობილებას და ზურგი ადრიკა თავის წინანდელს საყვარელს საგანს და რიგი სხვა რაიმე მიზეზით იძულებული შეიქნა თავი ენებე-ბინა მისთვის. მხოლოდ ერთი ცხვედა-ეც აი ეს მე-თორმეტე წელიწადია დაეკილად ურიგდება ყოელს გვარს ახალს შემოღებას და ვეტერანად რჩება. მრთის სიტყვით ეს კაცი ისე იქცევა, როგორც თითონ პი-რადად უჯობს. თუ ასე არ იყოს, განა შესაძლებე-ლია იმ აზრით მოსულდგმულე, იმ ხალხში მიღებუ-ლი და პატიოცემული, ეხლა ვიღაც ჩიხანხალებს იზიდაეს თავისკენ? უნდა იცოდეთ, მკითხველო, რა ხალხი ახევება მას გარს. მას ესაჭიროებოდა პირვე-ლად სხვის შემწეობა და ახაუ ერთხელ დადგა მკეიდრს ნიადაგზნდ, უკუ აქცია თავისი ფარხმალი. სისტომა-ტოურად განდევნა ყველა, ვისაც კი პატარა პირში სული ედგა და ამ რიგად დაპრის ბურთი და მოედა-ნი, ესე იგი მან სასჯელს მისცა ნამდვილი მეფენი და თითონ მუხანათობით შეიპრო მეფებია. ნ. ავალი შვი-

ლი, პ. ქაპანაძე, სვ. ჯაბადარი, მღ. დ. ბერძენოვი, გ. ბულასაშვილი და გ. ბილანოვი ყველა ესენი ჩევნს მხარეში სხვებზედ ბევრით უკეთესნი და გაცილებით მაღლა მდგრამი, გ. ცხვედაძემ შემოიფარგა არ ასცდნენ მის დაუდგრომელობას და გაუტანელობას ჭეშმარიტად პატიოსანი და გონება გახსნილი პირი ჩუ-მაკოვი, მისი მოძმე ასპარეზით და დასასრულ — აწინ-დელი მასწავლებელი რაჟკოვი. თქვენ იტყვით, როგორ მოახერხა ამ ხალხის მოშორება, თუ ისინი ულირსნი არ იყვენო. თქვენა გყითხავთ, როგორ ახერხებდნენ იეზუიტნი ანსელმი და კრიზოსტომი იმ-დენის პატიოსნობით საესე ხალხის განდევნას და გაუ-პატიებას? \*) მაგრამ თავის დღეში არ მოშდარა, რომ ახში სიმართლეს არ დაემარტებინა უსამართლოება და დრომდის ტალახში ამოსვრილი, არ აღყვევებულიყო. ასე დაეცა გაძრიელებული კოლეგია იეზუიტებისა და ასე ეცემა ყოველივე ნდობა იმ კაცისა, რომელსაც აქამომდე სელში ჰქონდა ჩავარდნილი აქაური საერთო საქმები და პატივდებულიც იქმ იგი. ნუთუ მართლა დიდ ლირსებად უნდა ჩაეთვალოს ბ. ცხვედაძეს, რომ აქაურს ბანქს, თუ დეპოს, ვერავინ ჩასხერებია ისე, როგორც თითონ?! დარიბს მეოჯა-სებს საკუთარი ცხოვერებაც გასჭირებიათ, რომ თავ-თავიანთი დრო და ხანი მას ამსხვერპლონ, მღიღრებს კიდე, როგორც მოგეხსენებათ, თავ-თავისი ოჯახის საქმეებიც იმდენი აქვთ, რომ იმათაც ვერ ასდიან ხოლმე. ამ კაცს კი აქამომდე არაფერი აწუხებდა. განა მარტო აქ ჩვენში ხდება, რომ სასოფლო ბანკები სოფლის მას-წავლებლებს აბარიათ? თქვენ, გ. ცხვედაძე, ძრიელ თავი მოგაქვთ და ტრაბახობთ, რომ საზოგადოების ფული გებარათ და არა სჭამდით. სასაცილოა ამით დაკეხება, მერწმუნეთ. თქვენ იყავით ის, რაც უნდა ყოფილყო ყველა რიგიანი კაცი ე. ი. თქვენ იმა-რებდით საზოგადოების ფულს და ისევ აბარებდით. ასში ორი დახლიდარი არ გამოვა, რომ თავის აღას წლის დასასრულს დუქანი შექმული დაახვედროს. ნეუ თუ ნება არა გვაქვს თქვენ უბრალო მიკიტამზედ მეტი მოგთხოვთ? მაგრამ საუბედუროდ და ათ ჯერ საუბედუროდ, ნამეტნავად ამ ბოლოს დროს, თქვენ ისეთი საქმეები ჩაიდონეთ, რომ თქვენს თავს თქვენვე უტოლებთ მეღუებებს. მოთმინება იქნიეთ, ბატონო

მკითაველო, და შემდევ მომიგეთ ნიშნ, თუ ეს ასე არის.

ღ. გულისაშვილი.

(შემდეგი იქნება)

შეასვენილი ოჯახი \*)

(მოთხოვთა)

### III

მართალია ყველანი ერიდებოდენ, ყველამ აიღო ხელი ნოდარისაგან შერტხვენილ ოჯახზედა, მაგრამ იყო იჯახი რომელიც ჯერ კიდევ მეგობრულათ ეკი-დებოდენ მიტრიასა. ეს აბრია ძეთილაშვილის ოჯახი იყო. მართალია ძეთილაშვილის და მიტრიას შორის არაეთარი ნათესაბრული კავშირი არ იყო ჩამო-გარდნილი, მაგრამ ერთმანეთთან დაახლოვება და ხში-რი მისელა-მოსველა ჰქონდათ, ერთმანეთის კეთილ მეზობლობას მხოლოდ ეს ორი კომლი შეადგენდა.

ეს უფრო საჭირო იყო მიტრიას დედისათვისა; ის როგორც ყველგან გამოკლებული, სადაც ისე ვე-ლარ მიესელებოდა ვისთანმე, როგორც წინეთ, ეხლა მხოლოდ ძეთილაშვილის ოჯახი ჰქონდა თავშესაფა-რებელ საენეთ და მხოლოდ იქ ამოიოხჩავდა ხოლ-მე თავისუფლათა, და ამ ამოხვრასთან აუარებელი სევდები ჰყენებოდე გულიდგანა. მიტრია ძრიელ დამეგობრა კეთილაშვილმა; იმისი ერთი ულელი ხარი ჩაურია თავის გუთნის ხარშია და მიტრიაც მეხრეთ შემდგარი შემოდგომის თუ გაზაფხულის მოსავალს ერთათა სთესავდენ, ერთათ მეიდენ და ერთათა ლეწავ-დენ... მიტრიას უფრო შინაურულ დაახლოვებას ძე-თილაშვილის ოჯახთან სხვა მიზეზიც იყო და ეს მი-ზეზი კიდევ იყო კეთილაშვილის ქალი. ძეთილაშვი-ლის ქალი მთელს სოფელში ერთ უკეთეს ქალათ ითვლებოდა, რომლისაგანაც მოჯადოვებული ახალ-გაზდობა, აღარ უსვენებდენ „შუა კაცებით“ ბაბრისა და ხან ერთი უგზანიდა და ხან მეორე; მაგრამ ბედი ყველას უმტკუნებოდა და მხოლოდ მარტო მიტრიამ დაიმსახურა კეთილაშვილის ოჯახის დამეგობრება და, რასაურველია, ამავე დროს ლიზას შერთების იმედი უფრო აცხოვლებდა მიტრიას გულში სე დამეგობ-რებასა.

\*) იხილე *«თეატრი» № 16.*

\*) ანსელმი და კრიზოსტომი არიან გმირები ჩინებულის რომანისა მ. განიერისა „იეზუიტინ“.

მიტრიას სრულებითაც არ უმტკუნა ბედმა; ლიზასაც მარტო მიტრია მოსწონდა. ლიზას წინათაც არა ერთხელ გაეფო თავის შეგობარ ქალებისაგან მიტრიას ქება და რამდენიც დრო გადიოდა, რამდენიც მაღალ ჰედავდა, მარტლადა მოსაწონ მიტრიას, ლიზას იმდენათ უფრო მოსწონდა და უყვარდა, უყვარდა და მოსწონდა. მიტრიაც ამავე დროს იმასა ჰერძნობდა, რასაც ლიზა, მიტრიას გულიც იმ გაუნელებელი ცეცხლის ალს შეპყრო, რომლითაც ასე ნებათ მოძებოდა ლიზას სრულებით უმანკო გულსა.

სევდა მოცული მიტრია, ეხლა უფრო მტკიცეთ იყო შემდგარი საჩიო საბადებლის მოხვეტასა. ეხლა ნათლათა ჰედავდა საგანს თავის ცხოვრებისასა და რაც ძალი და ღონე მოსდევდა, სიმჩნევეს დაუწყო მატება. მაგრამ ზოგჯერ გაურბნებდა თუ არა თავში ის გულ საკლავი ფიქრი თავის ეინაობისა, მოავონდებოდა ხოლმე თუ არა თავისი შერცვენილი ოჯახი, საქციელი მამისა, ის შემარცვენები ჭუჭყი, რომელიც ასე ბლომათა ჰერძნდა მოცებული მიტრიას სახლსა, ეს ფიქრი უფრო უშამავდა, ისეთაც დიდი ხნის მოწამლულ გულსა. რამდენიც მეტსა ფიქრობდა, რამდენიც შეტათ აკეირდებოდა იგი თავის მომავალს, იმდენი რაღაც უჩინარი შიშის ზარი ეცემოდა თავსა და მწარეთ ოხრაედა... მიტრია მართალი იყო, იმისი გული ტყუილათ არა ჰერძნობდა საშინელ შიშა!

— «მომცემენ მერე თავიანთ ქალსა?» ფიქრობდა ზოგჯერ მწარე სევდებით მოცული მიტრია და უფრო ღრმათ ეკითხებოდა თავის გულსა: — „მართალია ლიზას უყვარვარ, მაგრამ მამა, დედა, ნათესაობა, ისინი რაღას იტყვიან! ვინ ურჩევს ჩენ შერცვენილ ოჯახში, იმის რძლათ შემოყვანასა... მაგრამ, რომ უყვარვარ?.. რა უყოთ მერე რომ უყვარვარ?.. მს მშობლების ნებაა და არა იმის სიყვარულისა! მრთხელ განაერძობდა ასე, როდესაც ის ჩეცულებისამებრ ჩამომჯდარიყო ფურცლის ქვეშ და მისცემოდა ფიქრებსა. დიდხანს იყო ჩაფიქრებული, დიდხანს დასკეროდა მღუმარებით შავ დედამიწასა.

მართლა რომ ძნელი იყო მიტრიასათვის ამ აზრის გადაწყვეტა; მართალია კეთილაშეილის ოჯახში შინაურულათ იყო მიღებული, მაგრამ ის კი ძნელი საფიქრებელი იყო მიტრიასათვის, მისცემდნენ თუ არა, ამ ერთხელ განთქმულ ოჯახშიშეილის, მაგრამ დღეს დაცემულს და სრულებით შერცვენილს, თავიანთ ქალსა შეიყვანდნ რძლათ იმისთანა ოჯახში, რომელსაც აღარც ნათესავები ჰყავს, აღარც მეგობრები და მეზობლებიც კი ისე აღარა ჰმეზობლობენ, როგორც აქამდისინა? აი ეს იყო ეხლა მიტრიას უმთავ-

რესი ფიქრი, ესდა აღონებდა იმის ისეთაც ფასონი ბულ გულსა.

## IV

მიტრიას გულში ლიზას სიყვარული თან-და-თან თავისას ჰმოქმედებდა და აღარ იცოდა, საიდგან და როგორ მოევლო საქმისითვის ხელი, ეთხოვნა პირ-და-პირ კეთილაშეილისათვის? — ამას მიტრია სრულებითაც ვერ გაჰყდავდა, რაღგანაც იცოდა, რომ შეიძლება ცუდათ ჩაერაცხნა და თავხედობისათვის სრული უარიც ეთქვა კეთილაშეილსა და აღარც ისე მოპყრობოდენ, როგორც აქამდისინ იყო შინაურულათ კეთილაშეილის ოჯახში მიღებული. «მაშ რა უნდა ვქნა, შეუკაცი მიუგზავნო?» მკითხებოდა ხოლმე მიტრია ზოგჯერ თავის თავსა და რაღაც უჩინარი ხმა კი სულ იმას ჩასძახოდა ყურებში «არ მოგცენო!»

ამ ვაი-ვაგლახ მდგმოიარეობაში იყო, როდესაც გიორგობის თეის ერთ უკანასკნელ დღეს, მიტრია, საღამოთი ვენახიდგან მომავალი, მძიმეთ მოაბიჯებდა ვიწრო ორლობებშია, თავის სახლისკენა. ცა ტყვიის ფერი ღრუბლებით იყო გაჭელილი; ცავი შემოღომის ნიავი ცოტა სუსხიანად უბერავდა და დიდის ხნის ხეხილიდგან ჩამოყრილ ფოთლებს, ზედ პირისახეზედ აყრიდა ჩაფიქრებულ მიტრიასა.

სოფლის ერთს უფრო უკეთს ადგილს, მიტრიას სახლი არის წამოჭიმული; დიდი მოლობილი ეზო, ქვითკირის შენობა და შიგ მოქცეული გომი და საბეჭელი, ცხადათ აჩწმუნებენ კაცსა, რომ იქ ერთხელ დიდი ოჯახი უნდა ყოფილიყო გაძრიელებული, დიდ საქონელს უნდა ეტრიალნა ასე გულ გადაშლილ ეზოშია. ეს ერთხელ სიცოცლით საესე სახლ-კარი ეხლა სულ სხედა სურათად გარდაჭცეულა: იქ აღარ მოისმის ძროხისა და ცხერის ბლავილი, ღორის ჭყვილის ხმა აღარ ახმაურებდა კულანდებურათ ეზოსა; ერთი სიტყვით, რაღაც საიდუმლო სიჩუმე ჰსუფევს, რაღაც სამწუხარო სურათს წარმოადგენს იქაურობა; დიდი ხნის საბეჭელი, ეხლა ცარიელი გლია, ალაგ-და-ალაგ ჩალპობია ჩალა, ჩამტკრევია კავები და საცოდევათ ხავს მოკიდებული, გეგონებათ თავის თავს თითონვე ჩამოსტირისო; ამავე მდგმოიარეობაში არის გომიცა. ვენახიდგან მომავალი მიტრია, რომელიც ჩა-ფიქრებული შემოვიდა ეზოში, ვინ იცის რა მომავალ სურათებს არ იდგენდა თვალ წინ, რა შეუძლებელს არ ებრძოდენ იმისი აზრები! მიტრიამ მწუხარებით გადავლო თავის დიდრონი თვალები მიყრუებულ ეზოს და რამდენჯერმე ამოხვრის შემდეგ, შეაღლ სახლის კარები.

დიდსა და უწინდელ ფართო დარბაზში პატარა ჭრაქი ბჟუტავდა, რომლის მკრთალი შუქი არიყო რომ ძრიელ ცოტათი ანათებდა გულლია დარბაზსა; ჭრაქის მცირედ შუქს ზედ ერთობოდა შუა ცეცხლის გაძრიელებული ალი და ერთმანეთის დახმარებით ცოტა ლაზათიანად ანათებდენ დარბაზსა... ქრისტიანი ახლო იჯდა მიტრის უკვე უდროვოთ მოხუცებული დედა; იქვე იმის შორი ახლოს თავ-ჩაღუნული ნოდარი შესკეროდა ცეცხლის, თითქო განგებ, თავისუფლათ მორბენალ ალებსა. მამის სახლში მოულოდნელმა დახვედრამ, ძრიელ გააკეირეა მიტრია.

მიტრის დედა, მლისაბედი, არ იყო ისე ხნიანი დედაკაცი, თუმცა კი მწარე და ერთგუარ ცხოვრებას, უკვე მოქსწრო თავის ბეჭდის დასმა. მლისაბედი სულ ორმოცდა ხუთი წლის დედაკაცა იქნებოდა, მაგრამ იმისი ბეჭრი მწარე ცრემლის დენისაგან დაღმწერჭილი ლოკები და ღრმათ ჩაცვივნილი თვალები, ნათლათა ჰერავდენ რავდენ მწუხარება უნდა გამოველო, ამ თავის ჯერ კიდევ მცირედ სიცოცხლეში, საბრალო ელისაბედისა. მართლაც რომ ბეჭრი და ძრიელაც ბევრი მწუხარება გამოიარა მლისაბედმა! ან კი რა მწუხარებაზედ უარესი არ უნდა იყოს, დედაკაცისათვის, რომ დაპარგოს გაძრიელებული ოჯახი, დაპარგოს ქმარი, ის ერთათ ერთი იმედი ცხოვრებისა და მიანებოს სხვის მკერდზედ თავი, რომლისათვისაც იგი მზა იყო ჰერწინა თავი, მიეცა საკუთარი სიცოცხლე ნოდარის სიცოცხლის დაცვისათვისას. მერე, განა ამას მოელოდა ოდესმე ნოდარისაგანა? სრულებითაც არა! მაგრამ, დღემდის ცველა ამას მაინც იტანდა: ოჯახის დალუპეასაც, ქმრის დაკარგვასაც და იმასაც კი ითმენს, რომ ყოველივე ნათესავის თუ ნაცნობების დაკარგვასთან, იმის ოჯახს « შერტხვენილ ოჯახთა » სთვლიან სოფლათა, მერე იმ ოჯახსა, რომელიც ერთხელ ისეთი სახელოვანი იყო, რომელიც ისე სდულდა და გადმოდულდა ბეღნიერებითა!

შემოვიდა თუ არა მიტრია დარბაზშია, ბარი იქვე მიაუყდა კარებთან და თუმცა უსამოვნოთ, მაგრამ მაინც მიესალმა მამასა:

— გამარჯობა! მიტრია იქვე ჩამოჯდა დედის ახლო პატარა სკამზედ და უკმაყოფილოთ დაუწყო უჟრება თავის მამასა.

ნოდარიც მიესალმა შეიიღსა, თუმცა კი ისე ველარ შეპერდა პირზედ, როგორც აქამდისინ და ისე დაიწყო ტოკვა, თითქო მეტათა ჰერძობდა თავის თავს, ამ ორ პატიოსანთა შორის.

მარგა ხანი იყენენ ამ მღვმილიარებაში და კილევაც კარგა ხანი დარჩებოდენ, რომ ისევ მიტრიას არ დაერცვია საზოგადო მყუდროება.

— დედა ჩემო, ადე ერთი შენებულებიც ფაზეზე მასპინძლდი; ხომ ჰედავ **«მამა ჩემი»** გვწევევა, მაგრამ ისეთის კილოთი წარმოსთქვა ეს მცირედი სიტყვები, რომ ქვაც ყოფილიყო, ვერ გაუძლებდა და თვით უსულდებლისაც დამართებდენ რამეს; მაგრამ ნოდარი კვალათ არხეინათ იჯდა ცეცხლა პირასა და იმას სრულებითაც არ ეტყობოდა, რომ მიტრიას სიტყვებს, იმაზედ მცირედიც არის რამ გავლენა მოქდინათ.

მლისაბედი მარტათ წამოდგა; ჩამოილო თაროდგან უკვე ღიღი ხნის მომზადებული გრძელ ხონჩაზედ განაშამი და დაუდგა წინ ცეცხლა პირას ჩამომსხდრებსა... ამოდენა ხნის გულ დაკოდილი და თავის სიცოცხლის მაწყვევარი ელისაბედი, არ იყო რომ ცოტათი გამხნევდა, პირზედ რაღაც საიღუმლო სიხარულის აღმული ასლიოდა; საჩქაროდ ჩამოილო საკიდლიდგან პატარა ქეაბი, ამოყარა ტაბაკზედ თეთრი ლობიოს სირსეალი, მოაყარა ზედ მარილი და ერთი რამდენიმე აბლერტის შემდეგ დაუდგა მამა-შეილს წინა; აქვე თაროდგან ჩამოილო პატარა ნიგვზის ქილა, რომლიდგანაც ლურჯ ჩინურის თეჭშედ საკმაოთ ამოილო, დააჭრა ზედ ხახე და ისიც მიუმატა მცირე განაშამსა; სტაქანსა და ერთი მოზდილი ხელადა ლეინის მოტანასთან, თითონაც გვერდით მოუჯდა მარცხნივ მხარეს, თავის ეხლაც საყვარელ ქმარსა.

ქალად ჩუმათ შეუდგნენ ვახშმის ჭამას.

### გელის-ციხედი.

(ჟემდეგი იქნება)

### სახალხო ლექსიგი

(შეკრებილი სოფელი ჩივანთუბანში სოფიო ჯაჭანაშვილისაგან)

\* \*

მალო მეტათ ლამაზი ხარ,  
გარდსა სოესამ, იას საღმე,  
აქ ლრუბელმა დააჩრდილა,  
მანდეთ მზეა კიდევ საღმე?—  
ზული ხელთა აღარა მაქს,  
გამოჭრომას ვლამი მანდე მე,  
ამის მეტსა ველარ გავძლებ,

შამოვალ და გნახამ საღმე.

\* \*

მინდორს ცხენი მოდიოდა,  
დაჭელილი ნალთაგანა;  
დამწვარი, დადაგული ვარ,  
ლამაზისა ქალთაგანა.

\* \*

ჰაცი ცრუ, ამპარტავანი,  
ურჩობას მოეკიდება;  
დედას სცემს, მამას აგინძეს,  
ცოლს ავათ მოეკიდება.

\* \*

შრისტე ღმერთმა შეაჩერეს!  
შხლანდელი ქალის გული;  
სანამ გასათხოვარია,  
მუდამ არის გაბუტული,  
შრმის ხელში რომ ჩაგარდება—  
მიეცემა დიდი გული!..

\* \*

ჰაეთურა\*) აღიდებულა, ქვებს გაპქონდა რახა-რუხი,  
აჩუ აგრე გამიკვირდება, შენი ჭრელი ახალუხი.

\* \*

შმაწვილო, გულით ჯოგარდო,  
ბაგრატიონთა სახეო,  
შუალამის ვარსკელავს გეხარ,  
ურანგი სურათის სახეო;  
ულეაში გადაგხატვია,  
სამოთხის ბალში გნახეო;  
გახსოვდე, მამიგონებდე,  
შენი გვირგვინიმც ენახეო.

\* \*

ძალიან გაჯავრდა ლოლო,  
ლობიოს შემოჰკრა ბოლო,  
— მეხიყი დაგეცა ლოლო,  
სულ შავი ხარ ოჯახ-ქორი,  
ჰაცს მუცელს შემოასიებ,  
უნდა მძაფრად ააშმორო! .

—  
გამოცანები

ერთი რამე სურიელი, დაიარება ბობლვითა,

\*) მდინარე.

შეხებში ბორკილს შეიყრის, შეილებს დასტურა  
ვებს მარტოთა.

თუ თქვენ ამას გამოიცნობთ;  
ხეალ გაგისხნილებთ გოჭითა.

\* \*

შარავანდელი ხელმწიფე, ვოთა ლამპარი ერთების,  
ცეცხლია, ნაპერწყალია, აბედს არ მოეკიდების,  
შინც ამას კრ გამოიცნობს,  
სიბრძნის სწავლა არ ექნების.

### კირველი მაისი.

დადგა პირველი მაისიც. . ჩაერდა ქარი, გადო-  
ლო გაუწყვეტელი წეიმები, ლაზათიანათ დაგვითბა  
დღეები! ბუნებამ გაიღვიძა, რალაც ჯერ კიდევ  
ჩეინთვის მიუწოდელის ძალით, აფუფუნდა, შეიმისა  
მრავალ გვარ სურათად: საამურათ ააყვავა ხეხილი,  
ხეთა ურიცხ-ფოთოლთ დააჩრდილეს დედამიწა, მთები  
და ველები მწვანე ხავერდის ფრათ შეიმოსნენ... შეთი  
სიტყვით, გაიღვიძა ჩენ ძეალ-რბილშიაც სიცოცხლემ,  
სისხლმა აჩქარებით დაიწყო ჩუქ-ჩუხი ერთის ძარლ-  
ვიდგან მეორეში!


სამური სანახავია, მკითხველო, ამ დღეს ჩვენი  
დედა ქალაქი თბილისი. აი ყველამ უშიშრათ და-  
ლეს ფანჯრები და გაახლეს ზამთრის ჰაერი ოთახებ-  
ში; უხვათ გამოაწყეს ფანჯრებში სხეა-და-სხეა რიგი  
ყვავილები და ჩვენმა მძინარა ბარიშნებმა, ხარბათ  
დაუწყეს ყნოსვა!.. ბულვარზედ პეტელებსავით აჭ-  
რელდა ხალხი; ზამთრის თბილი ტანთსაცმელი მი-  
ნებებს ჩირჩილთა უფლების ქეშ და ჭრელის, პირი-  
ფერის და თეთრი ჩითის გამოწყვებილ კაბებში, თავი-  
სუფლათ დაიწყეს სიარული. ვის არ შეპევდები ეხლა  
ბულვარზედ? ვისი უშრომო და ძილისაგან დასიე-  
ბულ თვალებს არ დაინახავ საზაფხულო ზონდიკის  
ქვეშა!.. აგრა, შეპევდევი, ძიებიც გამოიშალნენ,  
ბულვარზედ გუნდ-გუნდათ მოდინ, მიუღით წვრი-  
ლი ქმაწვილები და თითონ იმ გრძნობის მედიდურის  
გამომეტყველებით, რომ ისინი გვიზრდიან, იმათ ხელ-  
ში უნდა გამოიაროს, ჩვენმა მომავალ თაობამ, მოსდევენ  
თავიანთვე ქეიფზედ მარბენალ ბავშვებსა!.. სადღა არიან  
მათი დედებიო? იკოთხავ, მკითხველო, მაგრამ დაგა-  
ვიწყდება კი რომ დღეს პირველი მაისი არის... პირ-  
ველი მაისია და დედები მუშტაცებში და სხეა ბალებ-  
ში დასეირობენ... დედები იქა სტებიან ათას გვარ

უფავილების ყნოსვით, სიამოვნებით დაგულაობენ აფურ დაყრილ ბილიკებზედ, იქ ლაშათიანთ შეექცევიან სამხარას, ზედ ჩაის მირომეეით, ამასობაში გააქვთ გაუწევეტელი ღოჯლიჯი და შეილებს კი... შეილებს ხომ ძიებიც მოუვლიან!

პირელ მაისმა, თითქმის უეზედ წამოაყენა მთელი ქალაქი, საამური სანახავი იყო მუშტაიდი, იქ სხვა-და-სხვა ფრათ აჭრელებული ხალხის ლაყბობას, აღარასა ჰქონდა სამზღვარი... ღიღი და პატარა მხიარულებდა, ღიღსა და პატარას რაღაც სიამოვნების ღი მიღი მოსდიოდათ ტუქებზედ, რაღაც ბუნების საიდუმლოებითა სტკბებოდნენ!.. მაგრამ ეს უხაროდათ უფრო ჩენ მძინარა ბარიშებსა, რომელნიც მაისის სიმშევნიერით გამოცულებულიყვნენ, გამოცემიზ-ლებულიყვნენ! მუსიკის ხმა და უკვე მაისისა-გნ გაღვიძებული სიყვარული, სიყვარული და ზედ დართული მუსიკის ხმა, ვიმეორებ, ყოველი სული აღტაცებაში შეცვანდა, ყველას აფრენდა სიაძლენების ჰაერში, საღაც ასე ბედნიერათ, მხიარულათა ჰქედავ-დნენ თავიანთ თავებსა!..

ერთი სიტყვით, პირელმა მაისმა, გაგვამხიარულა, გაგვახარა, უსამშენერო ტროობის ალები აანთო ჩენს გულშია... უხვათ დაგვატკბო, იმ ტკბილის სიამოვნებით, რომლითაც ასე ბედნიერათ ვრაცხო ჩენ თავს; ასე გვეადესილება ბუნების აფულებებისაგან აღტაცებულთ, ცხოვრებასთან ბრძოლა... და ღმერთმა ჰქმნას, რომ ყოველთვისინ ეს ასე იყოს, ყოველთვი-სინ ასე მხიარულათ მივეგებებოდეთ სხეასთან მე და შენც, ჩემო საყვარელო მკითხველო!

მედის-ციხეგდი.



## ნ ა ს ე ვ ი

ერთხელ დანის მეფე წაბძანდა ეკიპაჟიდ კოპენ-ვაგენიდამ თავის ციხე-დარბაზ ბენსტორფში. გზაზე მას შეხვდა გამოჩენილი აქტიორი, აგრეთვე ეკიპაჟით. ეკიპაჟები ერთმანეთს შეეჯანენ და მეფის კარეტა გატყდა, ასე რომ მეფე იძულებული შეიქნა ფეხით წაბძანებულიყო. შედეური არტისტი, რომელიც თი-თონ მიერეკებოდა ცხენებს და რომელიც ასეთი უხეი-რო კუშჩობა გამოიჩინა, ღიღათ შესწუხდა და არ იცოდა როგორ შეხედავდა ამ შემთხვევას მეფე.

მაგრამ მეფემ იმისთანი ზღილობიანობულებულება:

— საყვარელო № №!.. ამას იქით ფრთხილად იყავით, თორემ შეიძლება მოხდეს, რომ ჩენ მოვაკ-ლდეთ სიამოვნებას თქვენის ხილვისა სცენაზე.

ამ გვარმა ზღილობიანმა შენიშვნამ იმ მდგომა-რეობაში მიიყვანა არტისტი, როდესაც კაცმა არ იცის რა ქნას: იტიროს თუ იცინოს.

დიდ ჰერცოგს კარლ ავგუსტ საქსენ-ვეიმარ-ეიზ-ნახსა ჰყავდა ერთი მოსამსახურე, რომელსაც ჰეიდე-გაუზი ერქვა. მრთხელ ეს მოსამსახურე იმყოფებოდა ღიღ ჰერცოგის სასახლის წინა ოთახში და რადგანაც ჩეარა არ მოელოდა ჰერცოგის გამობრძანებას გაზე-თის კითხეს მიჰყო ხელი. მრთხაშად ნახევრად გაი-ღო კარი და გამოისმა კარლ ავგუსტის ხმა.

— ზაგე (უფროსი მდივანი ჰერცოგისა) აქ არის?

— აქ არ გახლავთ, თყვენო ღიღებულებავ! უჸასუხა ჰეიდენგაუზმა და უცბათ წამოხტა თავის აღ-გილიდამ.

ძარები მოიხურა. მოსამსახურე დაჯდა თავისავე აღგილას და კვალად განაგდო გაზეთის კითხეა.

ცოტა ხნის შემდეგ კარები კიდევ გაიღო და მოისმა კითხეა:

— ზაგე აქ არის?

— არ გახლავთ თქვენო ღიღებულებავ! შესა-ხა კიდევ, ხმა მაღლა, მსახურმა. ამ ღროს კარებს უკან მოისმა სიცილი...

თურმე ჰერცოგი კი არა ყოფილიყო, არამედ ჰერცოგის ერთ მხედართაგანი, რომელიც გასაოცრად ჰბაძაედა ჰერცოგის ხმას.

მსახური საშინლად გაჯავრდა.

სწორეთ ამ ღროს კარები კიდევ გაიღო და გა-მოისმა იგივე ხმა:

— ზაგე აქ არის?

— აი, ეშმაკებმა კი წაგილონ შენა!.. წარმოს-თქვა გაბრაზებულმა ჰეიდენგაუზმა.

ძარები წყნარად მოიხურა.

ეს მესამე კითხეა კი თეით ჰერცოგისა იყო.

რა გაიგო თავისი მსახურმა შეცდომა, ღიღ მწუ-ხარებას მიეცა.

მეორე ღიღს საცოდავი მსახური მიეიღდა ჰერ-ცოგთან და მის ფეხებ წინ დამხობას აპირებდა.

— ჰო, კარგია, კარგი! შთხრა ალერსიანად

ჰერცოგმა,—მე ვიტი გუშინ ოქვენ იქ კიდევ მაიმუნობდოთ! წალი, წალი!..

— მარტინ ა. დიუმა-მამამ უთხრა თავის შეიღს:  
— გამიგონე ალექსანდრე, უნდა დაჩვინდე...  
გადარბაისლდე—დროა ცოლი მოძებნო.  
— ვისი ცოლი მოვძებნო, მამაჩემო, უპასუხა  
Demimonde-ის ავტორმა.

წინა გამოცანუბის ახელს.

1) ცეცხლი, ბუქარი და სალხი.

କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ପରିଣାମ ଓ ଗ୍ରମମନ୍ଦିରଙ୍କର ପାଇଁ ଏହାଶବ୍ଦୀ

# განცხადებანი

ବ୍ୟାକ୍ ପାଇଁ

đ ể l ì n a g ả n ỹ ẽ g ả n l ì n a b ..

ତେବେଳିରେ—ସାମାନ୍ୟରେ କୁଣ୍ଡଳ, ଏତିରୁଣ୍ଡଳରେ କୁଣ୍ଡଳ କାନ୍ଦିଗଲ୍ଲାଙ୍କିରେ, କାନ୍ଦିଗଲ୍ଲାଙ୍କିରେ ପାଇଁ କାନ୍ଦିଗଲ୍ଲାଙ୍କିରେ ପାଇଁ

ଶ୍ରୀଶର୍ମଜ୍ଞାନେଶ୍ୱର ପ୍ରତିଷ୍ଠାନ କିରଣବାସ ଏଲ୍‌ଗ୍ରେଗ୍ ସାହେବ  
ମୂଳର୍ଥାନ୍.

„თამას ცბიერი კიბლიონია

ԱՍՏՐՈՆՈՄՅԱ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՊԱԿՈՒՏԱ,

ისყიდება მორიგეოს ბიბლიოთეკაში, გოლოვინის  
პროსტეპტოზე, მუსიკან-ბატონის სახლში და გრიქოზის  
წიგნის მაღაზიაში. ფისი თო შეური. (10—4)

(10—4)

## სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

ଓଡ଼ିଆ ଉପରେ  
କାନ୍ତିମାଳା

ପ୍ରକାଶକ ନାମ



გიორგი ერისთავი

ჩინებულ აღექსანდროვის ქადაგზე  
მსატეპობა ა. ბერიძეს

Անցուղեա քրա՞մշառագուստ թիզնու մալահանա՛ն,  
մակուս եօնու պարհաց, Պարալուցու սակելցի՞մ  
և օ. Տագառացու ծայրալունու մալահանա՛ն, Արդի-  
հանունուսը վարչականա՛ն.

გინც ათს ან მეტს სურათს გამოიწერს, მა-  
შან თითო სურათი 16 კაბ. დაკომისა.